



# საქართველო

## ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ჩოხატაური წერეთლის ქ. #2

☎ 790 20-33-05  
577 47-43-34

### საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება # 126

6 ივნისი 2012 წ.

#### ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის შესახებ

1. მიმდინარე წლის 13 ივნისს, დილის 12 საათზე, მოწვეული იქნას ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის შესახებ:

1.1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების განკარგვის, გადაცემის, ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების თაობაზე.

**მომხსენებელი: ვალერი ყაჭიშვილი**

1.2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების ფლობის, განკარგვის და ქონებით სარგებლობის წესის დამტკიცების თაობაზე.

**მომხსენებელი: ვალერი ყაჭიშვილი**

1.3. ადგილობრივი გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ" - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 მარტის N15 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

**მომხსენებელი: მალხაზ დოლიძე**

1.4. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესების დამტკიცების შესახებ" - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 30 დეკემბრის №71 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

**მომხსენებელი: ივანე ცინცაძე**

1.5. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 20 დეკემბრის N65 დადგენილებაში „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ – ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

**მომხსენებელი: ზურაბ ჩანტლაძე**

1.6. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 20 დეკემბრის N76 განკარგულებაში – „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2012 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

**მომხსენებელი: ვლადიმერ გოგიბერიძე**

1.7. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ნუსხის დამტკიცების შესახებ

**მომხსენებელი: მალხაზ დოლიძე**

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე-ჭავჭავაძის ქ.N4.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე**

**ანტონ ხუნდაძე**

**ვიზირებულია,**

**იურისტი**

**ედიშერ ჯიბუტი**